№2558 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (გაუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-4 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება (2014 წლის 18 დეკემბრის №5/49495) ახალციხის მუნიციპალიტეტში, ვალეში, რუსთაველის ქ. №2-ში მდებარე 3000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული ობიექტი №1-ის (სახანძრო), განაშენიანების ფართით - 202,3 კვ.მ, ობიექტი №2-ის (სახანძრო), განაშენიანების ფართით - 178,1 კვ.მ, ობიექტი №3-ის (ყოფილი სათავსო), განაშენიანების ფართით -19,7 კვ.მ, ობიექტი №4-ის (საწვავის საწყობი), განაშენიანების ფართით 11,1 კვ.მ, ობიექტი №5-ის (ფანჩატური), განაშენიანების ფართით - 6,6 კვ.მ, ობიექტი №6-ის (რეზერვუარი), განაშენიანების ფართით - 4,1 კვ.მ, ობიექტი №7-ის (რეზერვუარი), განაშენიანების ფართით - 2,9 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 62.15.53.202) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**